2019

# ექსპერტიზა




ნინო ჩაჩხიანი

ექსპერტი

3/5/2019

საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტი
სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო საქმიანობის ექსპერტიზის ცენტრი

ინსტიტუტის თავმჯდომარე აკაკი ზერეკიძე

**ხელმძღვანელი: ანა ებილაშვილი**

სპეციალისტები: დავით აბულაძე

ექსპერტი ნინო ჩაჩხიანი

© SDMI® Georgia

ყველა უფლება დაცულია

ქ. თბილისი, 2018 წელი

<u>სარჩევი</u>

სკოლის საერთო საცხოვრებლის სამშენებლო დოკუმენტის პროექტის არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასების ანგარიში....4

შესწავლის საგანი: ....4

სკოლის საერთო საცხოვრებლის (*შემდეგში საპროექტო ობიექტი*) სამშენებლო დოკუმენტის პროექტის არქიტექტურული ნაწილის (*შემდეგში ტექნიკური დოკუმენტაცია*) ტექნიკური რეგლამენტებთან (*მითითებულია ქვევით*) შესაბამისობა. ....4

დამკვეთის რეკვიზიტები: ....4

საპროექტო შენობ(ებ)ის რეკვიზიტები: ....4

ტექნიკური დოკუმენტაციის რეკვიზიტები: ....5

ტექნიკური რეგლამენტები: ....5

ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები შესაბამისობაზე:....5

შეფასების საგანი და შესაფასებელი კომპონენტები: ....6

ინფორმაცია ექსპერტის შესახებ ....7

დეკლარაცია მოწოდებულ ინფორმაციაზე და პასუხისმგებლობის შეზღუდვა....7

გამოვლენილი გარემოებები:....8

1. არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა:....8
2. დაკავებულობ(ებ)ი და დაკავებულობის დატვირთვები: ....10

დაკავებულობები ....10

დაკავებულობების დატვირთვები....11

3. კონსტრუქციის ტიპ(ებ)ი, სიმაღლე და ფართობი:....13
4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება: ....14

2. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება: ....16

3. მისაწვდომობის შეფასება ....17

4. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება: ....18

5. იატაკის და სახურავის ანაწყობების შეფასება ....18

6. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:....18

7. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება: ....19

8. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება: .....20
დასკვნა: .....21
დანართი 1: .....22
დანართი 2: .....25

## ილუსტრაციების ნუსხა

სურათი 1. ტდ ვიზუალიზაციის გვერდი.....8

ფოტო 1. შრომის წიგნაკის ფოტოასლი.....22
ფოტო 2. შრომის წიგნაკის ფოტოასლი.....22
ფოტო 3. შრომის წიგნაკის ფოტოასლი.....23
ფოტო 4. შრომის წიგნაკის ფოტოასლი.....23
ფოტო 5. შრომის წიგნაკის ფოტოასლი.....24
ფოტო 6. შრომის წიგნაკის ფოტოასლი.....24
ფოტო 7. დიპლომის ფოტოასლი.....25

## ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. კომპონენტების ნუსხა.....9
ცხრილი 2. კომპონენტების ნუსხა.....9
ცხრილი 3. კომპონენტების ნუსხა.....10
ცხრილი 4. სივრცეების (ბინები) დ.დ.....12
ცხრილი 5. სართულების დ.დ.....12
ცხრილი 6. სიმაღლე და ფართობები.....13
ცხრილი 7. სიმაღლე და ფართობი შესაბამისი წესებიდან.....13
ცხრილი 8. გარე კედლების ცეცხლემედეგობის შეფასება (იხილეთ სქემასთან ერთად).....14
ცხრილი 9. საერთო სავალი ბილიკის შეფასება.....15
ცხრილი 10. გზა-კარების რაოდენობის შეფასება სივრცეებისთვის.....15
ცხრილი 11. დერეფნების ცეცხლმედეგობა.....16
ცხრილი 12. გამტარუნარიანობის შეფასება.....16
ცხრილი 13. ღიობების მაქსიმალური ფართობების ანგარიშის ცხრილი პროექტიდან.....18
ცხრილი 14. აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობები.....21

# ექსპერტიზა

სკოლის საერთო საცხოვრებლის სამშენებლო დოკუმენტის პროექტის
არქიტექტურული ნაწილის საექსპერტო შეფასების ანგარიში
*(საბოლოო შეფასება)*

## შესწავლის საგანი:

სკოლის საერთო საცხოვრებლის (*შემდეგში საპროექტო ობიექტი*) სამშენებლო დოკუმენტის პროექტის არქიტექტურული ნაწილის (*შემდეგში **ტექნიკური დოკუმენტაცია***) ტექნიკური რეგლამენტებთან (*მითითებულია ქვევით*) შესაბამისობა.

## დამკვეთის რეკვიზიტები:

- დასახელება: **UNOPS**
- მისამართი: Skerliceva 4, Belgrade, Republic of Serbia
- +(381) 113 441 106
- graemet@unops.org

## საპროექტო შენობ(ებ)ის რეკვიზიტები:

- მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: **01.14.07.001.060** (*ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 892018756787*)
- მესაკუთრე: ***დამკვეთი***;
- მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N35ბ; ქალაქი თბილისი. გზატკეცილი წყნეთი, N35-ის მიმდებარედ
- საპროექტო შენობა/ნაგებობა:
  - ფუნქცია: სკოლის საერთო საცხოვრებელი
  - რაოდენობა: 1
- კლასის განმსაზღვრელი პარამეტრები: [1]

| ბლოკი A,B,C,E | *შენობის ფუნქციური დანიშნულება* |
|---|---|
| **S** $_{k-2}$ = 1741,1 კვ. მ | *შენობის **K-2** კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი* |
| **H** = 19.5 მ | *შენობის სიმაღლე* |
| **D** = -2.0 მ | *შენობის ჩაღრმავება* |

[1] მიიღება ის, რომელსაც ეხება შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები და ჩაუტარდა ექსპერტიზა (იხ. თავი: ტექნიკური რეგლამენტები). შენიშვნა: რაკი ორივე IV კლასია, მიღებულია ყველაზე მაღალი პარამეტრების მქონე ბლოკიდან.

| | |
|---|---|
| L = 7.2 მ | *შენობის მაქსიმალური მალის სიგრძე* |

- მშენებლობის კლასი: IV
- იატაკის მთლიანი (საერთო) ფართობი: 1741,1 კვ.მ

## ტექნიკური დოკუმენტაციის რეკვიზიტები: [2]

- ტექნიკური დოკუმენტაცია (*შემდეგში ტდ*): სამშენებლო დოკუმენტის პროექტის არქიტექტურული ნაწილი; თბილისი, 2018 წ.
- კონტრაქტორი პირი: Graeme Tyndall
- პასუხისმგებელი არქიტექტორი/სპეციალისტი: დიმიტრი ელიკაშვილი, ნიკოლოზ სებისკვერაძე;
- ტდ ფორმატი: CAD და PDF ფაილის ფორმატები.
- საჯარო რესურსი: —http://tas.ge/

## ტექნიკური რეგლამენტები: [3]

1. ტექნიკური რეგლამენტი – „**განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესი**“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 15.01.201.46 წ N61 დადგენილებით – [**ref.#: 61**];
2. საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წ დადგენილება N57 „**მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ**“ – [**ref.#: 57**];
3. ტექნიკური რეგლამენტი – „**შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები**“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წ N41 დადგენილებით – [**ref.#: 41**].

## ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები შესაბამისობაზე:

1. **ref.#: 57**, მუხლი 47. არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა: [4]

ა) ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის ობიექტის თაობაზე;

ბ) III, IV და V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობის ანალიზს;

გ) სიტუაციურ გეგმას – მ 1:2000 ან მ 1:1000;

დ) არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტომასალას (შორი და ახლო ხედებით, თარიღის მითითებით);

ე) მიწის ნაკვეთის გეგმას (კოორდინატების მითითებით) – მ 1:500 ან მ 1:250:

ვ) სართულის გეგმები ყველა დონეზე და სახურავის გეგმა – მ 1:200, მ 1:100 ან/და მ 1:50:

ზ) შენობა-ნაგებობის განივი ან/და გრძივი ჭრილ(ებ)ი - მ 1:200, მ 1:100 ან/და მ 1:50:

[2] რომელსაც ჩაუტარდა ექსპერტიზა.

[3] რომლის საფუძველზეც ან/და რომელთა მიმართებაშიც შემოწმდა ტექნიკური დოკუმენტაცია.

[4] სრულად მოცემულია იქვე. არქიტექტურული პროექტის ნაწილები შესაძლებელია წარდგენილი იყოს შეთავსებული სახით.

თ) შენობა-ნაგებობის ყველა ფასადს - მ 1:200, მ 1:100 ან/და მ 1:50:

ი) III, IV და V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის დაკავებულობებისა და გასასვლელი საშუალებების გეგმებს - მ 1:200 ან/და მ 1:100:

კ) III, IV და V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის გზა-კიბეების, პანდუსების, მოაჯირებისა და სახელურების შესაბამისობას შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან ნახაზების სახით - მ 1:50 ან/და მ 1:20;

ლ) III, IV და V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის გეგმებს - მ 1:200:

2. **ref.#: 57**, თავი XVII. IV კლასის შენობა-ნაგებობები.
3. **ref.#: 41**, მუხლი 2:

„**1. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ III, IV და V კლასს დაქვემდებარებული შენობებისა და ნაგებობების დაგეგმარებაზე, მშენებლობასა და მოვლა-პატრონობაზე**.

2. იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ამოქმედებამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინამდებარე წესები უფრო ხელსაყრელ პირობებს ითვალისწინებს და მის გამოყენებაზე მოთხოვნას აყენებს განმცხადებელი.

3. თუ შენობა-ნაგებობები აშენებულია ამ დადგენილების ამოქმედებამდე ამ დადგენილების მოთხოვნების შეუსაბამოდ, მათი რეკონსტრუქციისას დაუშვებელია დადგენილების მოთხოვნათა მიმართ არსებული შეუსაბამობის ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაზრდა.“

## <u>შეფასების საგანი და შესაფასებელი კომპონენტები:</u> [5]

**საპროექტო ობიექტის შესაბამისობა რეგლამენტთან** შემდეგ კომპონენტებში:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;
ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;
გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;
დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;
ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;
ვ) მისაწვდომობის შეფასებას;
ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;
თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;
ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;
კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;
ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;
მ) საჭიროების შემთხვევაში, სხვა მოთხოვნების შეფასებას.

[5] *„მუხლი 25. სამშენებლო საქმიანობის ექსპერტი, მისი უფლებამოვალეობანი“* - შესაბამისად (**ref.#: 57**).

## ინფორმაცია ექსპერტის შესახებ

- სახელი გვარი: **ნინო ჩაჩხიანი**;
- მოკლე ბიოგრაფიული ცნობები: დანართი 1;
- კვალიფიკაციის ცნობები: დანართი 2.

## დეკლარაცია მოწოდებულ ინფორმაციაზე და პასუხისმგებლობის შეზღუდვა

წინამდებარე საექსპერტო შეფასების ანგარიშის დანიშნულებაა დამკვეთს მიაწოდოს საექსპერტო შეფასების შედეგები, რაც მისთვის საჭიროა დაპროექტებული შენობების არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

მე, ნინო ჩაჩხიანმა, არქიტექტურის მაგისტრთან განათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე არქიტექტორმა, სანებართვო საქმიანობის ექსპერტმა, სპეციალისტებთან ერთად მოვამზადე რა წინამდებარე ანგარიში, რომელიც ეფუძნება კონტრაქტორი კომპანიის მიერ მოწოდებული ტდ-ს, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება მასვე, ხელისმოწერით ვადასტურებ შეფასების ფარგლებში ჩემ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორესა და შესაბამისობას რეგლამენტებთან (**ref.#: 61**, **ref.#: 57**, **ref.#: 41**).

ანგარიში არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა დანიშნულებით, გარდა ამ ანგარიშში მოყვანილი რეგლამენტებით (**ref.#: 57**, **ref.#: 41**) უშუალოდ გათვალისწინებულისა. ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ შემოწმებული ტდ-ის რეგლამენტებთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე, ან/და მშენებლობის პროცესში მისგან გადახვევაზე.

ექსპერტი

**ნინო ჩაჩხიანი**

**3/5/2019, თბილისი**

**ref.#: 61** შესაბამისობა შეამოწმა

ვ. ჯოხაძე

3/5/2019

## გამოვლენილი გარემოებები:

*შენიშვნა:*

| *N* | *ამ პარაგრაფში გამოყენებული აღნიშვნები* | |
|---|---|---|
| *1.* | × | *მითითებულ ადგილას კომპონენტის სტატუსი არის სრულად შესაბამისი* |
| *2.* | — | *მითითებულ ადგილას კომპონენტის სტატუსი არის ნაწილობრივ შესაბამისი* |
| *3.* | □ | *მითითებულ ადგილას კომპონენტის სტატუსი განისაზღვრება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ* |

შესწავლილ იქნა შენობის ტდ, ზემოხსენებულ რეგლამენტებთან (**ref.#: 57**, **ref.#: 41**) მიმართებაში და გამოვლენილ იქნა შემდეგი გარემოებები:

### 1. არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა:



სურათი 1. ტდ ვიზუალიზაციის გვერდი

1.1. მშენებლობის ნებართვის ობიექტის თაობაზე ინფორმაციაში:

| N | კომპონენტი | გააჩნია | არ გააჩნია |
|---|---|---|---|
| 1. | **თავფურცელი, ობიექტის დასახელებითა და მისამართით** | × | |
| 2. | **სარჩევი: ფურცლების ჩამონათვალი** | × | |
| 3. | **გამოყენებული პირობითი აღნიშვნები** | × | |
| 4. | **განმარტებითი ბარათი, რომელიც მოიცავს დაგეგმარების მიზნების აღწერას:** | × | |
| 4.1. | დაგეგმარების საფუძველსა და მიზნებს | × | |
| 4.2. | მიწის ნაკვეთის წერილობით აღწერას | × | |
| 4.3. | პროექტის შინაარსობრივ აღწერას | × | |
| 4.4. | შენობა-ნაგებობის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერას | × | |
| 4.5. | დაგეგმარებისათვის გამოყენებული კანონმდებლობის აღწერას | × | |
| 5. | **შენობა-ნაგებობის ტექნიკური მაჩვენებლები:** | × | |
| 5.1. | მიწის ნაკვეთის ფართობი | × | |
| 5.2. | გამოყენებული კ1-ის სიდიდე და განაშენიანების ფართობი | × | |
| 5.3. | გამოყენებული კ2-ის სიდიდე და განაშენიანების სიმჭიდროვის ფართობი, თითოეული სართულის განაშენიანების ფართობის ჩვენებით | × | |
| 5.4. | გამოყენებული კ3-ის სიდიდე და გამწვანების ფართობი | × | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 5.5. | შენობა-ნაგებობის ფართობი და მისი შემადგენლები (არსებობის შემთხვევაში):[6] | × | |
| 5.5.1. | ~~ბინის ფართობ(ებ)ს~~ / საძილე ერთეულები | × | |
| 5.5.2. | საოფისე ფართობს | | |
| 5.5.3. | ~~სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ფართობ(ებ)ს~~ | × | |
| 5.5.4. | სასაწყობო ფართობს | | |
| 5.5.5. | კიბის უჯრედისა და სადარბაზოების ფართობებს | × | |
| 5.5.6. | საზაფხულო (აივნების, ტერასების, ვერანდებისა და ლოჯიების) ფართობებს | × | |
| 5.5.7. | ავტოსადგომის ფართობს (გარე) | × | |

**ცხრილი 1. კომპონენტების ნუსხა**

**შეფასება:** ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები სრულად.

1.2. „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობის ანალიზის ნაწილში:

| N | კომპონენტი | გააჩნია | არ გააჩნია |
|---|---|---|---|
| 1. | **თითოეული დაკავებულობისა და გამოყენების აღწერა** | × | |
| 2. | **კონსტრუქციის ტიპ(ებ)ი** | × | |
| 3. | **სიმაღლის შეზღუდვები** | × | |
| 4. | **ფართობის შეზღუდვები** | × | |
| 5. | **გარე კედლის ცეცხლმედეგობა და ღიობები** | × | |
| 6. | **ხანძრისაგან დაცვის სისტემები** | × | |
| 7. | **მოთხოვნები გასასვლელებისადმი** | × | |
| 8. | **მისაწვდომობა** | × | |
| 9. | **იატაკის და სახურავის ანაწყობები** | × | |
| 10. | **ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმოჯნავები** | × | |
| 11. | **წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები** | × | |

**ცხრილი 2. კომპონენტების ნუსხა**

**შეფასება:** ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები სრულად.

1.3. პროექტის გრაფიკულ ნაწილში:

| N | კომპონენტი | გააჩნია | არ გააჩნია |
|---|---|---|---|
| 1. | **სიტუაციური გეგმა** – მ 1:2000 ან 1:1000 | × | |
| 2. | **არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები** (შორი და ახლო ხედებით, თარიღის მითითებით) | × | |
| 3. | **მიწის ნაკვეთის გეგმა** — მ 1:500, სავალდებულო კომპონენტებით: | × | |
| 3.1. | **ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილ მიწის ნაკვეთის საზღვრები** | × | |
| 3.2. | **შენობა-ნაგებობების განთავსება და სიმაღლეები** | × | |
| 3.3. | **მიწის ნაკვეთთან მისასვლელი და შიგა-საავტომობილო გზები, ავტოსადგომები**, ქვეითთა ბილიკები, **გამწვანება,** კეთილმოწყობა | × | |
| 3.4. | საჭიროების შემთხვევაში, საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერების განთავსების სქემა | | □ |
| 3.5. | მიწის ზედაპირის ცვლილების შემთხვევაში, მიწის ზედაპირის ცვლილების გეგმა | | □ |
| 3.6. | ზედაპირული წყლების მოცილების სქემა | | □ |

[6] ფართობების გამოთვლის წესი — **ref.#: 57**: მუხლი 18. შენობის ნაწილები და მახასიათებლები

| | | | |
|---|---|---|---|
| 4. | **სართულის გეგმები** ყველა დონეზე და **სახურავის გეგმა**: (მ 1:200) [7] | | □ |
| 4.1. | საკადასტრო საზღვრის პროექცია | × | |
| 4.2. | იატაკების ზედაპირების ნიშნულები | × | |
| 4.3. | შენობის ფარდობითი ნულოვანი ნიშნულის აბსოლუტურ ნულოვან ნიშნულთან მიმართება | × | |
| 4.4. | ძირითადი ზომები | × | |
| 4.5. | ოთახის ან/და სივრცის ფართობებისა და მათი ძირითადი ზომები | × | |
| 4.6. | გასასვლელი საშუალებების ძირითადი ზომები | × | |
| 5. | მნიშვნელოვანი **ნაწილები** ან/და დეტალები (მ 1:20, მ 1:10 ან/და მ 1:5) | × | |
| 6. | **ჭრილები** (მ 1:200) | × | |
| 7. | **ფასადები** (მ 1:200), გამოყენებული მასალების და ფერების მითითებით | × | |
| 8. | მომიჯნავე შენობების არსებობის შემთხვევაში, განშლები (მ 1:500 ან/და მ 1:200) | [8] | |
| 9. | ფასადის მნიშვნელოვანი ნაწილები ან/და დეტალები | | □ |
| 10. | **შენობა-ნაგებობებისთვის დაკავებულობებისა და გასასვლელი საშუალებების გეგმები**: | × | |
| 10.1. | დაკავებულობის დატვირთვები | × | |
| 10.2. | გასასვლელი საშუალებები | × | |
| 10.3. | სავალი მაქსიმალური მანძილები | × | |
| 10.4. | მისაწვდომობის სვლაგეზი | × | |
| 10.5. | თავშესაფრის ფართობები | [9] | |
| 11. | **ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის გეგმები**: [10] | × | |
| 11.1. | ცეცხლმედეგობის ხარისხიან მოთხოვნილ გამმიჯნავები | × | |
| 11.2. | გამოყენებული ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები | × | |

**ცხრილი 3. კომპონენტების ნუსხა**

**შეფასება:** ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები სრულად.

## 2. დაკავებულობ(ებ)ი და დაკავებულობის დატვირთვები:

*ref.#: 41. თავი 3, ცხრილი 302, ქვეთავი 403 და 406*

### დაკავებულობები

საპროექტო შენობის თითოეული გამოყენება და შესაბამისი დაკავებულობა ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული **302-ე** ქვეთავის შესაბამისად. საპროექტო ობიექტის ძირითადი დაკავებულობის ჯგუფი არის **სც-2** **<u>საერთო საცხოვრებელი.</u>** **მიუხედავად იმისა, რომ წესების თანახმად საერთო საცხოვრებელი არის დწ-1 დაკავებულობის ჯგუფის გამოყენებათა ჩამონათვალში, ავირჩიეთ სც-2. მინდა განვმარტო, რომ დწ - დაწესებულობითი ჯგუფი მოიცავს - „ისეთი შენობის ან ნაგებობის, ან მათი ნაწილის გამოყენებას სადაც უვლიან და ზედამხედველობას უწევენ ადამიანებს, რომელთაც შეუძლიათ საკუთარი თავის მოვლა ფიზიკური დახმარების გარეშე, ან სადაც იმყოფებიან ადამიანები სასჯელის მოსახდელად ან გამოსასწორებლად, ან სადაც დამკავებლის თავისუფლება შეზღუდულია“. მინდა მოვიშველიო „International Building Code 2012 – IBC**

[7] მასშტაბი არის 1:350 გამომდინარე გამოყენებული პლანშეტის ზომებიდან.

[8] მიმდებარედ არ არსებობს ღირებული განაშენიანება.

[9] იხ. §4 გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

[10] შეთავსებულია დაკავებულობების გეგმებთან.

2012" (საფუძველი). ვფიქრობ რომ შეცდომდა დაშვებულია თარგმანში და დაწესებულობითი ჯგუფის ჩამონათვალში არსებული „Group Home" გადმოთარგმნილია პირდაპირი მნიშვნელობით, როგორც „ჯგუფური, ჯგუფის, საერთო სახლი, საცხოვრებელი" იგივე - საერთო საცხოვრებელი, მაგრამ მინდა ავღნიშნო, რომ „IBC 2012"-ში არის ზემოაღნიშნული ტერმინის განმარტება, რომელიც მიგვითითებს, რომ „Group Home" არის ისეთი დაწესებულება სადაც რეაბილიტაციას უწევენ ისეთ ადამიანებს, ვინც მიდრეკილია ტოქსიკომანიისკენ ან აქვთ ფსიქიკური პრობლემები, სადაც ხდება ამ ადამიანების მოვლა-მზრუნველობა და ზედამხედველობა. ზემოაღნიშნული რადიკალურად განსხვავდება მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლისგან. ამასთან კიდევ ერთხელ მინდა მოვიშველიო „IBC 2012", სადაც 310.4 ქვეთავში, სც-2 ჯგუფის დაკავებულობის გამოყენებათა ჩამონათვალში მკაფიოდ წერია - „Dormitory", რაც როგორც პირდაპირი თარგმანით „საერთო საცხოვრებელი", ისე ამავე წესების ტერმინთა განმარტებით ზუსტად პასუხობს მოსწავლეთა (სტუდენტთა) საერთო საცხოვრებლის მნიშვნელობას. გამომდინარე აქედან საპროექტო შენობის ძირითად დაკავებულობად განსაზღვრულია სც-2 და არა დწ-1. აღნიშნული დაკავებულობა საპროექტო ობიექტის ოთხ სართულზეა გათვალისწინებული. პირველ სართულს კი **სგ** ჯგუფის დაკავებულობა მოიცავს, ამავე სართულზე მასთან ერთად გვხვდება **თვ-3** და **სქ** ჯგუფის დაკავებულობები. მიწის დონის სართულზე პროექტში ასევე გვხვდება საპროექტო შენობიდან სრულიად გამიჯნული **დს** ჯგუფის დაკავებულობა (ტუმბოს ოთახი), რომელსაც დამოუკიდებელი შესასვლელი/გასასვლელი აქვს. მე-6 სართულზე არსებული ტექნიკური სივრცეები არ აღემატება საყრდენი სახურავის ერთ მესამედს, შესაბამისად 1509.2.2 ქვეთავის თანახმად ამ სივრცის გათვალისწინება 503.1 ქვეთავის მიხედვით საჭირო არ არის.

პირველი სართული ასევე მოიცავს თანმხლებ გამოყენებას, რომელიც მოცემულია *ცხრილი 509*-ში - *10კვ.მ-ზე მეტი ფართობის სამრეცხაო ოთახი*.

| გამოყენება | დაკავებულობის ჯგუფი | S (m²) | | სართული |
|---|---|---|---|---|
| მიმღები | **თვ-3** | 250,4 | 27,7 | 1 |
| დაცვის ოთახი | **სქ** | | 6,0 | |
| საკლასო ოთახები | **სგ** | | 216,7 | |
| სამრეცხაო | თანმხლები გამოყენება | | | |
| ტექნიკური ოთახი | **დს** | | 12,1 | |
| საერთო საცხოვრებელი | **სც-2** | 312,7 | | 2-4 |

## დაკავებულობების დატვირთვები

საპროექტო შენობების დაკავებულობების დატვირთვების ანგარიშისთვის გამოყენებულია დ.დ.ფ. მაჩვენებლები ცხრილი 1004.1.2-დან.

პროექტში გასასვლელებისკენ შუალედური ოთახები ან სივრცეები არ არის შესაბამისად დაკავებულობის დაგროვებული დატვირთვა არ გვხვდება.

დამხმარე გამოყენება პროექტის მიხედვით არის დერეფანი, ფოიე და გზა-კიბე,

რომელიც დაანგარიშებულია იატაკის ფართობებში[11] იმ დაკავებულობებთან ერთად, რომელსაც ის ემსახურება და მისი დაკავებულობის ფაქტორი ყველაზე მცირეა სართულზე.[12]

დაკავაბულობის დატვირთვის ანგარიში შესრულებულია ცალკე სივრცეებსთვის და ცალკე სართულებისთვის, რადგან აღნიშნულზეა დამოკიდებული თითეულის გასასვლელი საშუალების ზომა და რაოდენობა.

ცხრილი 4. სივრცეების (ბინები) დ.დ.

| დაკავებულობის ჯგუფი | სივრცის დანიშნულება | სივრცე | | დატვირთვა [13] | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | ნუმერაცია | სართ. | **S** (m²)[14] | დ. დ. ფ. | დ.დ. |
| **თვ-3** | მიმღები | N1 | 1 | 27,7 | 0,5 | **56** |
| **სქ** | დაცვის ოთახი | N1 | | 6,0 | 27,9 | **1** |
| **სგ** | საკლასო ოთახები | N1 | | 18,2 | 1,9 | **10** |
| | | N2 | | 49,5 | | **27** |
| | | N3 | | 32,3 | | **17** |
| **დს** | ტექნიკურ ოთახი | N1 | | 12,1 | 27,9 | **1** |
| **სც-2** | საერთო საცხოვრებლის ნომრები | N1; 9; 17; 25 | 2-5 | 24,9 | 18,6 | **2** |
| | | N8; 16; 24; 32 | | 29,8 | | **2** |
| | | N2-7; 10-15; 18-23; 26-31 | | 22,7 | | **2** |

ცხრილი 5. სართულების დ.დ.

| დაკავებულობის ჯგუფი | სივრცის დანიშნულება | სართული | დატვირთვა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | **S** (m²) | დ. დ. ფ. | დ.დ. | Σ დ.დ. |
| **თვ-3** | მიმღები | 1 | 27,7 | **0,5** (სუფთა) | **56** | **172** |
| **სქ** | დაცვის ოთახი | | 6,0 | **27,9** (მთლიანი) | **1** | |
| **სგ** | საკლასო ოთახები (მათ შორის, გზა-კიბეები, დერეფანი, ლიფტი, სამრეცხაო ოთახი- *თანმხლები გამოყენება*) | | 216,7 | **1,9** (მთლიანი) | **115** | |
| **დს** | ტექნიკურ ოთახი | | 12,1 | **27,9** (მთლიანი) | **1** | |
| **სც-2** | საერთო საცხოვრებლის ნომრები (მათ შორის, გზა-კიბეები, დერეფანი, ლიფტი) | 2-5 | 312,7 | **18,6** (მთლიანი) | **17** | |

[11] სადაც მოთხოვნილია დაკავებულობის დატვირთვის ანგარიში იატაკის მთლიანი ფართობით.

[12] ამასთან მათი ცალკე დაკავებულობად კლასიფიცირება და დატვირთვის დაანგარიშება არ ხდება, რადგან წარმოადგენენ შენობის ცირკულაციისთვის განკუთვნილ, დაუკავებელ სივრცეებს.

[13] ცხრილი 1004.1.2. გზა-კიბე და დერეფნები, როგორც გასასვლელი საშუალებები არის დაუკავებელი სივრცეები და დ.დ. ანგარიში მათთვის არ წარმოებს. იხ. დაკავებულობების დატვირთვის ანგარიში.

[14] სართულზე თითოეული დაკავებულობის ჯგუფისთვის აღებულია ყველაზე დიდი ფართობის მქონე სივრცე, რომლისთვისაც ნაწარმოებია ანგარიში დაკავებულობის დატვირთვის მაჩვენებლის მისაღებად. აღნიშნული ანგარიში ავტომატურად აკმაყოფილებს ამავე სართულზე არსებული სხვა სივრცეების მოთხოვნებსაც.

**შეფასება:** ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

## 3. კონსტრუქციის ტიპ(ებ)ი, სიმაღლე და ფართობი:

*ref.#: 41. ცხრილი 503*

კონსტრუქციის ტიპები პირდაპირ კავშირშია შენობისათვის დასაშვებ სიმაღლესთან და ფართობთან, მათი გამოყენების/დაკავებულობის საფუძველზე. წესების საუკეთესო საერთაშორისო გამოყენება გვკარნახობს, რომ დამპროექტებელმა ჯერ უნდა განსაზღვროს სასურველი გამოყენება/დაკავებულობის ჯგუფი, ამის შემდეგ გამოიყვანოს სასურველი სიმაღლე და ფართობი, და ბოლოს — განსაზღვროს კონსტრუქციის ტიპი.[15] ამის შემდგომ, განისაზღვრება ცეცხლმედეგობის მიმართ მოთხოვნები ცხრილი 601 და 602.

3.1. საპროექტო შენობების მაქსიმალური სიმაღლეები და ფართობები შერჩეულია სწორად *წესების* თავი 5, ცხრილი 503-ის მიხედვით, დაკავებულობის ჯგუფის გათვალისწინებით:

ცხრილი 6. სიმაღლე და ფართობები

| დაკავებულობის ჯგუფი | დაგეგმილი | | |
|---|---|---|---|
| | შენობის სიმაღლე (მ) | სართულიანობა | S (m²) [16] |
| **თვ-3** | **19,50** [17] | 1 | 27,7 |
| **სგ** | | 1 | 223,0 |
| **სქ** | | 1 | 6,0 |
| **დს** | | 1 | 12,1 |
| **სც-2** | | 4 | 312,7 |

3.2. დაგეგმილი დაკავებულობის ჯგუფის და შენობის პარამეტრების მიხედვით, მიღებულია მაქსიმალური შემზღუდავი (მარცხნიდან-მარჯვნივ რიგის მიხედვით) ფართობები და სიმაღლეები:

ცხრილი 7. სიმაღლე და ფართობი შესაბამისი წესებიდან

| დაკავებულობის ჯგუფი | მაქსიმალური დასაშვები | | | კონსტრუქცია | |
|---|---|---|---|---|---|
| | სიმაღლე (მ) | სართულიანობა | S (m²) | ტიპი | კლასი |
| **თვ-3** | **48.8** | **11** | **შეუზღუდავი** | **I** | **B** |
| **სგ** | | **5** | **შეუზღუდავი** | | |
| **სქ** | | **11** | **შეუზღუდავი** | | |
| **დს** | | **5** | **3300** | | |
| **სც-2** | | **11** | **შეუზღუდავი** | | |

3.3. საპროექტო შენობების კონსტრუქციის ტიპი **შერჩეულია** ფართობისა და **სიმაღლეების** გათვალისწინებით და ყველა ობიექტის კონსტრუქციის ტიპად

[15] მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისობის ანალიზში ყოველთვის ჯერ კონსტრუქციას უთითებენ და შემდეგ ფართობსა და სიმაღლეს.

[16] აღებულია ყველაზე დიდი ფართობის მქონე სართულის მაჩვენებელი თითოეული დაკავებულობისთვის.

[17] სიმაღლე მიწის დონის ზევით.

მიღებულია I (B).

3.4. ცეცხლმედეგობის ანგარიშისთვის გამოყენებულია ცხრილი 601, მიუხედავად იმისა, რომ ანალიზში ცალკე არ არის მოცემული ცეცხლმედეგობის ამოკრებილი ცხრილი, მოთხოვნები პროექტით სწორად არის განსაზღვრული. კერძოდ:

- **სტრუქტურული ჩარჩო:** 2 სთ > გათვლილია 3სთ (30 სმ კრემნიუმის ბეტონის სვეტები. იხ. ცხრილი 722.2.4)
- **გარე მზიდი კედლები:** 2 სთ > გათვლილია 4 სთ-ზე მეტი (30 სმ კაჟბადის შემავსებლიანი ბეტონი). იხ. ცხრილი 721.1(2)).
- **შიგა მზიდი კედლები:** 2 სთ > გათვლილია 4 სთ-ზე მეტი (30 სმ კაჟბადის შემავსებლიანი ბეტონი). იხ. ცხრილი 721.1(2)).
- **გარე არამზიდი კედლები**: **ცხრ. 602 შესაბამისად** [18] - > გათვლილია 4 სთ-ზე მეტი (30 სმ კაჟბადის ხრეშის ბეტონის წყობისა ერთეული (ბლოკი). იხ. ცხრილი 721.1(2)).
- **შიგა არამზიდი კედლები**: 0 სთ > გათვლილია 1 სთ – ტიხრები (10 სმ კაჟბადის ხრეშის ბეტონის წყობის ერთეული (ბლოკი). იხ. ცხრილი 721.1(2)).
- **იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები**: 2 სთ > გათვლილია 4 სთ-ზე მეტი (20 სმ კაჟბადის შემავსებლიანი ბეტონის ფილა. იხ. ცხრილი 721.1(3)).
- **სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები**: 1 სთ > გათვლილია 4 სთ-ზე მეტი (20 სმ კაჟბადის შემავსებლიანი ბეტონი). იხ. ცხრილი 721.1(2)).

3.5. **ტიპი I (B)** კონსტრუქციისთვის, ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით მიღებულია *სწორად,* ცხრილი 602 შესაბამისად.

*<u>პროექტით გათვალისწინებული დაკავებულობებისთვის ყველაზე მოკლე ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისთვისაც მოთხოვნილი ყველაზე მკაცრი ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს 1 საათს, მიუხედავად ამისა შენობის მთელ პერიმეტრზე გათვალისწინებულია 4 სთ-ზე მეტი.</u>*

ცხრილი 8. გარე კედლების ცეცხლმედეგობის შეფასება (იხილეთ სქემასთან ერთად)

| შენობის მთელ პერიმეტრი | დაკავებულობა | ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი – X (მ) | კონსტრუქციის ტიპი | ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მოთხოვნილი | გათვალისწინებული |
| P | თვ-3, სგ, სქ, სც-2 | X ≥ 6 | I (B) | 1 სთ | >4 სთ |

**შეფასება:** ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

**4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:**

4.1. <u>გასასვლელთან მისადგომი</u>: გასასვლელთან მისადგომი 1014 ქვეთავის შესაბამისად არის დაპროექტებული. შუალედური სივრცეი პროექტში გვხვდება მინუს სართულზე. დაცულია 1014 ქვეთავის მოთხოვნები გასასვლელისაკენ სავალი საერთო ბილიკის მიმართ, ცხრილი 1014.3-ის შესაბამისად:

[18] დეტალურად იხ. შემდეგი ცხრილი.

ცხრილი 9. საერთო სავალი ბილიკის შეფასება

| სართული | დაკავებულობა | გასასვლელისკენ სავალი მაქსიმალური საერთო ბილიკი [19] | | |
|---|---|---|---|---|
| | ჯგუფი | საშხეფი სისტემა | მოთხოვნილი | გათვალისწინებული |
| 1 | მთვ-3 | კი | 23 მ | 0 მ |
| | სგ | | 23 მ | 21.1 მ |
| | სქ | | 30 მ | 4.9 მ |
| | დს | | - | - |
| 2-5 | სც-2 | | 38 მ | 8.6 მ |

4.2. გასასვლელის და გასასვლელთან მისადგომის გზა-კარები: კომპონენტების რაოდენობის გამოთვლა შესრულებულია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვების საფუძველზე, **ცხრილი 1015.1**, 1015.1 და 1015.1.1 პარაგრაფების გათვალისწინებით და დაცულია წესების მოთხოვნები. ქვემოთ მოცემულია თითოეული დაკავებული სივრციდან გასასვლელის გზა-კარის რაოდენობის ანგარიში:

ცხრილი 10. გზა-კარების რაოდენობის შეფასება სივრცეებისთვის

| 49სართული | დაკავებულობის ჯგუფი | სივრცე | დამკავებელთა დატვირთვა | | სივრციდან გასასვლელის გზა-კარის რაოდენობა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მაქსიმალური | არსებული | მოთხოვნილი | გათვალისწინებული |
| 1 | თვ-3 | N1[20] | - | - | - | - |
| | სგ | N1 | 49 | 10 | 1 | 1 |
| | | N2 | | 27 | 1 | 1 |
| | | N3 | | 17 | 1 | 1 |
| | სქ | N2 | | 1 | 1 | 1 |
| | დს | N1 | | 1 | 1 | 1 |
| 2-5 | სც-2 | N1-32 | 10 | 2 | 1 | 1 |

1.1. შენობას 1021.2(2) ცხრილის თანახმად მოეთხოვება სართულიდან 2 გასასვლელი ან გასასვლელთან მისადგომი, რაც პროექტში გათვალისწინებულია.

1.2. თითოეულ სართულზე, გასასვლელის გზა-კარებისთვის დაცულია 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნები, კერძოდ გასასვლელის გზა-კარები ერთმანეთისგან დაცილებულია შენობის მაქსიმალური დიაგონალის სიგრძის ნახევარზე მეტი მანძილით, რაც გრაფიკულად არის ასახული პროექტში.

1.3. გასასვლელთან მისადგომის სავალი მანძილი: სწორად არის მიღებული

[19] ცხრილში აღწერილია და შეფასებულია ყველაზე მკაცრი მოთხოვნის მქონე სივრცეები (ანუ ყველაზე დაშორებული).

[20] აღნიშული სივრცე არის მიმღები (ცირკულირებადი სივრცე), რომელსაც უშუალოდ ემიჯნება მთავარი შესასვლელი/გასასვლელი, აქედან გამომდინარე ამ სივრცისთვის ცხრილში არ არის დაფიქსირებული გზა-კარების რაოდენობა. სივრციდან გასასვლელად შეგვიძლია შენობის გამოსასვლელები ვიგულისხმოთ.

საპროექტოდ გასასვლელთან მისადგომების სავალი მანძილები, 1016.2 ცხრილის საფუძველზე და ასახულია პროექტში, კერძოდ, დაცულია ყველაზე მკაცრი მაქსიმალური სავალი მანძილი:

ცხრილი 11. მაქსიმალური სავალი მანძილები

| სართული | დაკავებულობა | გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი | | |
|---|---|---|---|---|
| | | საშხეფი სისტემა | მოთხოვნილი | გათვალისწინებული |
| 1 | თვ-3 | კი | 75 მ | 13.9 მ |
| | სგ | | 75 მ | 28.0 მ |
| | სქ | | 90 მ | 5.5 მ |
| | დს | | 120 მ | 7.0 მ |
| 2-5 | სც-2 | | 75 მ | 20.0 მ |

1.4. <u>დერეფნები:</u>

1.4.1. დერეფნების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 1018.1 ცხრილის მიხედვით:

ცხრილი 11. დერეფნების ცეცხლმედეგობა

| სართული | დაკავებულობა | დ.დ | ცეცხლმედეგობის ხარისხი (საათებში) | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | საშხეფი სისტემა | მოთხოვნილი | გათვალისწინებული |
| 1 | თვ-3 | 56 > 30 | კი | 0 | 1 სთ |
| | სგ | 115 > 30 | | 0 | 1 სთ |
| | სქ | 1 < 30 | | 0 | 1 სთ |
| | დს | 1 < 30 | | - | - |
| 2-5 | სც-2 | 17 < 30 | | 0,5 | 1 სთ |

1.5. <u>შენობიდან გამოსასვლელი:</u> პროექტით დაცულია წესების 1027.1 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისის მოთხოვნები შიგა გასასვლელის გზა-კიბეებთან დაკავშირებთ.

**შეფასება:** ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

## 2. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

2.1. გზა-კიბეების და სხვა საშუალებების გამტარუნარიანობა მოწყობილია 1022 ქვეთავის შესაბამისად. მათი გამტარუნარიანობა მიღებულია **1005.3.1** და **1005.3.2 ქვეთავების** შესაბამისად და აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს:

ცხრილი 12. გამტარუნარიანობის შეფასება

| სართული | დაკავებულობის ჯგუფი | Σ დ.დ. | კომპონენტი | გამტარუნარიანობა | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | გამტარუნარიანობის ფაქტორი (სმ) | მოთხოვნილი სიგანე (სმ) [21] | გათვალისწინებული სიგანე (სმ) |
| 1 | თვ-3, სგ, სქ | 172 | გზა-კიბე | 0,51 | - | - [22] |
| | | | დერეფანი | 0,38 | 65,4 | 140 |
| | | | გზა-კარი | 0,38 | 65,4 | 268 |

[21] იანგარიშება ჯამური სიგანე, რაც უნდა დააკმაყოფილოს თითოეული ტიპის გასასვლელის კომპონენტების ჯამმა ერთად აღებულმა, რომელიც ემსახურება კონკრეტულ დაკავებულობას.

[22] მიწის დონის სართულზე გზა-კიბე ამავე სართულისთვის არ წარმოადგენს გასასვლელ საშუალებას, შესაბამისად აღნიშული სართულისთვის გზა-კიბის გამტარუნარიანობის ანგარიში არ ხორციელდება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | **დს** | 1 | **გზა-კიბე** | **0,51** | - | - |
| | | | **დერეფანი** | **0,38** | - | - |
| | | | **გზა-კარი** | **0,38** | 0,38 | 92 |
| **2-5** | **სც-2** | 17 | **გზა-კიბე** | **0,51** | 8,7 | 240 |
| | | | **დერეფანი** | **0,38** | 6,5 | 110 |
| | | | **გზა-კარი** | **0,38** | 6,5 | 164 |

2.2. უზრუნველყოფილია უწყვეტობა შენობაში;

2.3. გზა-კიბის ბაქნის სიგანეები აღემატება წესებით მოთხოვნილ მინიმალურს მაჩვენებელს;

2.4. **1009.16** ქვეთავის თანახმად, სახურავამდე გრძელდება ერთი გზა-კიბე;

2.5. დერეფნის მინიმალური ზომები მიღებულია **ცხრილი 1018.2** გათვალისწინებით.

ცხრილი. დერეფნის სიგანე

| სართული | დაკავებულობა | დერეფნის მინიმალური სიგანე | |
|---|---|---|---|
| | | მოთხოვნილი | გათვალისწინებული |
| 1 | **თვ-3, სგ, სქ** | **1,20 მ** | **1,40 მ** |
| | **დს** | - | - |
| **2-5** | **სც-2** | **0,9 მ** | **1,10 მ** |

2.6. კარების მინიმალური ზომები მიღებულია ქვეთავი **1008.1.1** მიხედვით: არანაკლებ, 82 სმ თავისუფალ სიგანე.

2.7. დაცულია **1008** ქვეთავიის მოთხოვნები კარებთან მიმართებაში.

**შეფასება:** ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

## 3. მისაწვდომობის შეფასება

საპროექტო დაკავებულობებთან მიმართებაში პროექტის მიხედვით:

3.1. **ლიფტები:** შენობაში გამოყენებულია 1007.2.1 და 1007.4 ქვეთავის შესაბამისი აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი ლიფტი.

3.2. **გზა-კიბეები:** გასასვლელის გზა-კიბე პასუხობს **1007.3** ქვეთავს, სიგანის ნაწილში, ხოლო თავშესაფრის ფართობს, მისთვის გამოყენებულია **მე-2 გამონაკლისის**, რის საფუძველზეც შენობას ის არ მოეთხოვება.

3.3. **კარები:** თავისუფალი სიგანე > ან = 82 სმ (ერთი ფრთა); თავისუფალი სიმაღლე > ან = 205 სმ (1008 ქვეთავი);

3.4. **მისაწვდომი სვლაგეზი**: მიწის ნაკვეთზე და შენობაში მიწისპირა დონე შენარჩუნებულია, შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზი (ასახულია ნახაზებზე).

3.5. **ტუალეტისა და სააბაზანოს მოწყობილობები:** პროექტით 1-ელ სართულზე გათვალისწინებულია 1 ტუალეტის ნაკვეთური ორივე სქესის შშმ პირთათვის. საერთო საცხოვრებლისთვის დაცულია **1107.6.2.2** ქვეთავის მოთხოვნები. კერძოდ 1107.6.1.1 ცხრილის თანახმად მე-2 და მე-3 სართულზე მოწყობილია თითო-თითო

მისაწვდომი საცხოვრებელი/საძინებელი ერთეული, ხოლო დანარჩენი ბ ტიპის ერთეულებია.

**შეფასება:** ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

**4. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:**

4.1. ფასადები სადაც ღიობებია გათვალისწინებული, წესების თანახმად სხვადასხვა ოდენობით იზღუდება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით. ამ გარემოებების გათვალისწინებით, გარე კედლის ღიობების ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით წესების შესაბამისად არის დაგეგმარებული (ცხრილი 705.8).

*შენობა მთლიანად არის აღჭურვილი NFPA 13-ის (903.3.1.1 ქვეთავი) შესაბამისი ავტოსაშხეფი სისტემით და მთელ პერიმეტრზე ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი აღემატება 6 მეტრს, შესაბამისად გარე კედლებში ღიობების ფართობი შეუზღუდავია, აქედან გამომდინარე არ არის ნაწარმოები მათი პროცენტული მაჩვენებლის ანგარიში.*

ცხრილი 13. ღიობების მაქსიმალური ფართობების ანგარიშის ცხრილი პროექტიდან

| შენობის მთელი პერიმეტრი | ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი | დაცვის ხარისხი | დასაშვები ფართობი (%) | გათვალისწინებული |
|---|---|---|---|---|
| P [23] | 6.0 მ ან მეტი | დაუცველი, საშხეფებით | შეუზღუდავი | - |

4.2. პროექტით გათვალისწინებულია 705.11 ქვეთავის შესაბამისი პარაპეტი.

**შეფასება:** ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

**5. იატაკის და სახურავის ანაწყობების შეფასება**

5.1. შესრულებულია წესების მოთხოვნათა დაცვით. იხ. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- **იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები**: 2 სთ > გათვლილია 4 სთ-ზე მეტი (20 სმ კაჟბადის შემავსებლიანი ბეტონის ფილა. იხ. ცხრილი 721.1(3))
- **სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები**: 1 სთ > გათვლილია 4 სთ-ზე მეტი (20 სმ კაჟბადის შემავსებლიანი ბეტონის ფილა. იხ. ცხრილი 721.1(3)).

**შეფასება:** ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

**6. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:**

6.1. შერეული დაკავებულობები შენობაში გვხვდება პირველ სართულზე, თუმცა 508.4 ცხრილის თანახმად ერთმანეთისგან გამიჯვნას არ საჭიროებენ მიუხედავად ამისა

[23] აღნიშნულ მონაკვეთებში ღიობების დასაშვები ფართობი შეუზღუდავია ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და პროექტით გათვალისწინებული ავტოსაშხეფი სისტემიდან გამომდინარე, შესაბამისად არ არის ნაწარმოები მათი პროცენტულობის ანგარიში.

მათ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის ზღუდე მიჯნავს.

| დაკავებულობა | თვ<br>სგ | | დწ-1<br>დწ-3<br>დწ-4 | | დწ-2 | | სც[ა] | | სმ-2<br>სწ-2[ბ]<br>დს | | სქ,<br>სმ-1<br>სვ<br>სწ-1 | | დსშ-1 | | დსშ-2 | | დსშ-3<br>დსშ-4 | | დსშ-5 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **ს** | **სგ** | ს | სგ | ს | სგ | ს | სგ | ს | სგ | ს | სგ | ს | სგ | ს | სგ | ს | სგ | ს | სგ |
| **თვ, სგ** | გ | გ | 1 | 2 | 2 | დ | 1 | 2 | გ | 1 | 1 | 2 | დ | დ | 3 | 4 | 2 | 3 | 2 | დ |

***ს*** *= შენობები, რომლებიც მთლიანადაა აღჭურვილი 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემით.*
***სგ*** *= შენობები, რომლებიც არაა მთლიანად აღჭურვილი 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსამხეფი სისტემით.*
***გ*** *= გამიჯვნა საჭირო არ არის.*
***დ*** *= დაუშვებელია.*

6.2. პირველ სართულზე გვხვდება თანმხლები გამოყენება, რაც მოცემულია **ცხრილი 509-ში - *10კვ.მ-ზე მეტი ფართობის სამრეცხაო ოთახი***. პროექტით დაკმაყოფილებულია ცხრილით მოთხოვნილი ორივე პირობა, აღნიშნული სივრცე მომიჯნავე სივრცეებისგან გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის კედლით (10 სმ კაჟბადის ხრეშის ბეტონის წყობის ერთეული (ბლოკი). იხ. ცხრილი 721.1(2))ამასთან შენობა მთლიანად აღჭურვილია **NFPA 13**-ის (903.3.1.1 ქვეთავი) შესაბამისი ავტოსაშხეფი სისტემით შესაბამისი ავტოსაშხეფი სისტემით.

6.3. საცხოვრებელი/საძინებელი ერთეულები ერთმანეთისგან გამიჯნულია 420.2 ქვეთავის შესაბამისად, ცეცხლმედეგი ტიხრების ხარისხი შეადგენს 1სთ-ს (10 სმ კაჟბადის ხრეშის ბეტონის წყობის ერთეული (ბლოკი). იხ. ცხრილი 721.1(2)).

6.4. პროექტში ყურადღებაა მიქცეული ცეცხლმედეგი ზღუდეების მოთხოვნებზე (**ref.#: 41**, ქვეთავი 707).

**შეფასება:** ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

## 7. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:

***ref.#: 41****, თავი 9*

7.1. <u>ავტოსაშხეფი სისტემა:</u> 903.2.8 ქვეთავის თანახმად მთლიანი შენობა აღჭურვილია **NFPA 13**-ის შესაბამისი ავტოსაშხეფი სისტემით.

-1 სართულზე დს დაკავებულობაში სახანძრო ტუმბო განთავსებულია ოთახში, რომელიც შენობის სხვა ფართობისაგან გამიჯნულია 4 საათზე მეტი ცეცხლმედეგობის ხარისხის ზღუდითა და თარაზული ანაწყობებით, რაც შეესაბამება **913.2.1** პუნქტის მოთხოვნა.

***<u>შენიშვნა:</u>*** სახანძრო ტუმბოები უნდა განთავსდეს **NFPA 20**-ის მიხედვით, თანახმად **913.1** პუნქტისა.

7.2. <u>სახანძრო მილდგარების სისტემა:</u> გათვალისიწინებულია **905** ქვეთავის შესაბამისი სახანძრო მილდგარების სისტემა, რომელიც **NFPA 14**-ის შესაბამისად უნდა

მოეწყოს.

***შენიშვნა:*** სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან შეთანხმებით საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა **912**-ე ქვეთავის შესაბამისი სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი.

7.3. ხელის ცეცხლმაქრი: **906.3(1)** ცხრილის მოთხოვნათა დაცვით თითოეული სართულისთვის გარდა მინუს სართულისა განსაზღვრულია 2-2 ცალი 2A კლასისი ტიპის ცეცხლმაქრი, რაოდენობისა და განთავსების ადგილის გათვალისწინებით (ცხრილის შესაბამისად).

7.4. ხელით სამართავი სისტემა:

7.4.1. სც-2 ჯგუფის დაკავებულობა: 907.2.9.1 ქვეთავის თანახმად სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომელმაც 907.5 ქვეთავის შესაბამისად უნდა გააქტიუროს დამკავებელთა შეტყობინების სისტემები.

***შენიშვნა:*** 907.2.9.1 ქვეთავის მე-2 გამონაკლისის თანახმად, თუ დამონტაჟდება ისეთი ავტოსაშხეფი სისტემა, რომლის წყლის ჭავლის გაშვებისათანავე გააქტიურდება დამკავებელთა შეტყობინების სისტემები, მთელ შენობაში სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფების დაყენება საჭირო არაა.

7.5. კვამლზე მორეაგირე მაუწყებელის ერთ- და მრავალბლოკიანი მოწყობილობები: უნდა მოეწყოს **907.2.11** ქვეთავის შესაბამსიად ამავე ქვეთავში განსაზღვრულ ადგილებში.

7.6. სახანძრო განგაშის საკონტროლო ერთეულის დაცვა: **907.4.1** ქვეთვაის შესაბამისად ფართობებზე, რომლებიც მუდმივად არ არის დაკავებული, ერთი კვამლაღმომჩენი უნდა განთავსდეს სახანძრო განგაშის თითოეულ საკონტროლო ერთეულთან, შეტყობინების დანადგარის წრედის დამაგრძელებელთან და საზედამხედველო სადგურის გადამცემ მოწყობილობასთან.

7.7. მხედველობითი განგაში: **907.5.2.3.1** ქვეთავის თანახმად მხედველობითი განგაშის შეტყობინების მოწყობილობები უნდა განთავსდეს საჯარო და საერთო ფართობებზე, ხოლო **907.5.2.3.4** ქვეთავის თანახმად ყველა საცხოვრებელ ერთეულში შესაძლებელი უნდა იყოს ვიზუალური განგაშის შეტყობინების მოწყობილობის მუშაობა, ICC A117.1-ის შესაბამისად.

7.8. საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა: აუცილებელი საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემები უნდა დაგეგმარდეს და დაყენდეს NFPA 72-ის შესაბამისად. რუპორები უნდა განთავდეს ლიფტთან და გზა-კიბეებზე.

**შეფასება:** ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

## 8. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

11.1. წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობის საანგარიშოდ გამოყენებულია **1602.1** ცხრილი.

ცხრილი 14. აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობები

| სართული | აღწერილობა -დაკავებულობა | სასტუმროს ნომრები-სივრცე | დ.დ. / საცხოვრებელი ერთეული | აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობები | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | უნიტაზები | | ხელსაბანები | | აბაზანები/ შხაპები | | წყლის დასალევი შადრევნები | | სამომსახურეო ნიჟარა | |
| | | | | ქალი/კაცი | | ქალი/კაცი | | ქალი/კაცი | | მოთხოვნილი | გათვალისწინებული | მოთხოვნილი | გათვალისწინებული |
| | | | | მოთხოვნილი | გათვალისწინებული | მოთხოვნილი | გათვალისწინებული | მოთხოვნილი | გათვალისწინებული | | | | |
| 1 | მიმღები (თვ-2) | N1 | 56 | - | - | - | - | - | | - | - | - | - |
| | საკლასო ოთახები (სგ) | N1-3 | 55 | 1[24] | 1 | 1 | 1 | - | | 1 | 1 | 1 | 1 |
| | დაცვის ოთახი (სქ) | N1 | | | | | | | | | | | |
| | ტექნიკური ოთახი (დს) | N1 | 1 | - | - | - | - | - | | - | - | - | - |
| ერთ საცხოვრებელ ერთეულზე | | | | | | | | | | | | | |
| 2-5 | საერთო საცხოვრებლის ნომრები (სც-2) | N1 - 32 | 32 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | - | - | 1 | 1 |

**შეფასება:** ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

## დასკვნა:

ჩემ მიერ შესწავლილი ტდ-ის მიხედვით, ტექნიკური რეგლამენტების (**ref.#: 41**, **ref.#: 57**) მოთხოვნათა გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საპროექტო ობიექტის სამშენებლო დოკუმენტის პროექტის არქიტექტურული ნაწილი შეესაბამება ხსენებული რეგლამენტების მოთხოვნებს და ეძლევა რეკომენდაცია მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

ექსპერტი



ნინო ჩაჩხიანი

3/5/2019, თბილისი

[24] 1109 ქვეთავის თანახმად დამატებით გათვალისწინებულია A117.1 სტანდარტის შესაბამისი 1 ტუალეტის ნაკვეთური ორივე სქესის შშმ პირთათვის

# დანართი 1:



О ТРУДОВЫХ КНИЖКАХ РАБОЧИХ И СЛУЖАЩИХ

Постановление Совета Министров СССР и ВЦСПС
от 6 сентября 1973 года № 656
(Извлечение)

1. ...Трудовые книжки ведутся на всех рабочих и служащих государственных, кооперативных и общественных предприятий, учреждений и организаций, проработавших свыше 5 дней...

4. Рабочие и служащие, поступающие на работу, обязаны предъявлять администрации предприятия, учреждения, организации трудовую книжку, оформленную в установленном порядке.

5. Прием на работу без трудовой книжки не допускается...

6. В трудовую книжку вносятся:

сведения о работнике: фамилия, имя, отчество, дата рождения, образование, профессия, специальность;

сведения о работе: прием на работу, перевод на другую работу, увольнение. Записи о наименовании работа или должности, на которые принят работник, производятся: для рабочих в соответствии с наименованиями профессий, указанных в Едином тарифно-квалификационном справочнике работ и профессий рабочих; для служащих в соответствии с наименованиями должностей, указанных в Единой номенклатуре должностей служащих, или в соответствии со штатным расписанием;

сведения о награждениях и поощрениях: награждения орденами и медалями, присвоение почетных званий; награждения и поощрения за успехи в работе, предусмотренные правилами внутреннего трудового распорядка и уставами о дисциплине; другие поощрения в соответствии с действующим законодательством;

сведения об откратиях, на которые выданы дипломы, об использованных изобретениях и рационализаторских предложениях и о выплаченных в связи с этим вознаграждениях.

Взыскания в трудовую книжку не записываются.

7. С каждой записью, вносимой в трудовую книжку (вкладыш), о назначениях, перемещениях и увольнении администрация обязана ознакомить владельца этой книжки.

12. Заполнение трудовых книжек и вкладышей к ним производится на том языке, на котором ведется делопроизводство на данном предприятии, в учреждении, организации. В том случае, если делопроизводство ведется на языке союзной или автономной республики, то трудовая книжка заполняется одновременно на языке данной республики и на русском языке.

13. При увольнении... все записи.., внесенные в трудовую книжку.., заверяются подписью руководителя предприятия, учреждения, организации или специально уполномоченного им лица и печатью.

40

ШРОМИС ЧИГНАКИ

ЗТ-I № 2218816

გვარი ჩახჩიანი

სახელი ნინო

მამის სახელი ზურაბის ასული

დაბადების თარიღი 1968 02 03
(წელი, რიცხვი, თვე)

განათლება უმაღლესი
(დაწყებითი, საშუალო, საშუალო, დაუმთავრებელი უმაღლესი, უმაღლესი)

პროფესია, სპეციალობა ეკონომისტი

შევსების თარიღი 1990წ. „ 10 “ ოქტომბერი

წიგნაკის მფლობელის ხელის მოწერა

შრომის წიგნაკის პასუხისმგებელი გამცემის ხელის მოწერა

ბ. ა.

(გარკვევით)

4

41



ცნობები მუშაობის შესახებ

| ჩანაწერის № | თარიღი: წელი | რიცხვი | თვე | ცნობები სამუშაოზე მიღების, დათხოვნის შესახებ (მიზეზის აღნიშვნით | სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და და კანონის მუხლის, პუნქტის მითითებით) | რის საფუძველზეა შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | | | 3 | | 4 |
| 1 | 1990 | 05 | 10 | შპს „კომპ | ლოკი" | ბრძ №15 |
| | | | | მიკროწყობის ან | | 05.10.1990წ |
| 2 | 1993 | 15 | 02 | ინსტრუქციის ან | ინჟინერ | ბრძ №35 |
| | | | | კვალიფიკაციის | | 15.02.1993წ |
| 3 | 1997 | 23 | 03 | გამო ვერსწყვეტ | მენეჯერობიდან | ბრძ №125 |
| | | | | პირობით განწყვეტის | | 23.03.1997წ |
| | | | | შპს „კომპლექსი" | ს. კ | ნია |
| | | | | შპს „ა | ნდამატ" | |
| 4 | 1997 | 23 | 03 | მიღებულია ად | ცენტრის თავმ- | ბრძ№20 |
| | | | | ღებობაზე | | 23.03.97წ. |

42

4

4

43



ფოტო 2. შრომის წიგნაკის ფოტოასლი



ცნობები მუშაობის შესახებ ЗТ-I № 2218816

| ჩანაწერის № | თარიღი: წელი | რიცხვი | თვე | ცნობები სამუშაოზე მიღების, სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და დათხოვნის შესახებ (მიზეზის აღნიშვნით და კანონის მუხლის, პუნქტის მითითებით) | რის საფუძველზე შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | | | 3 | 4 |
| 5. | 2006 | 30 | 01 | [illegible] შპს „[illegible]" [illegible] | [illegible] № 7 30.01.2006წ. |

44 45

ფოტო 3. შრომის წიგნაკის ფოტოასლი



ცნობები მუშაობის შესახებ

| ჩანაწერის № | თარიღი: წელი | რიცხვი | თვე | ცნობები სამუშაოზე მიღების, სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და დათხოვნის შესახებ (მიზეზის აღნიშვნით და კანონის მუხლის, პუნქტის მითითებით) | რის საფუძველზე შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | | | 3 | 4 |
| 6 | 2006 | 01 | 02 | [illegible] შპს „[illegible]" [illegible] | [illegible] № 05/06 01.02.2006 |
| 7 | 2008 | 01 | 03 | [illegible] შპს „[illegible]" [illegible] | [illegible] № 04/08 01.03.2008. |

46 47

ფოტო 4. შრომის წიგნაკის ფოტოასლი



ცნობები მუშაობის შესახებ

ЗТ-I № 2218816

| ჩანაწერის № | თარიღი: წელი | თარიღი: რიცხვი | თარიღი: თვე | ცნობები სამუშაოზე მიღების, დათხოვნის შესახებ (მიზეზის აღნიშვნით | სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და და კანონის მუხლის, პუნქტის მითითებით) | რის საფუძველზეა შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | | | 3 | | 4 |
| | 2008 | 15 | 02 | დათხოვნილია ქ. თბილისის დაცვის დეპარტამენტის სამსახურიდან საკუთარი სურვილით | იხსნა შტატიდან | ბრძანება №201 14.02.08. |
| | 2008 | 31 | 12 | გათავისუფლებულია დაკავებული „საჯარო სამსახურის კანონის 96-ე მუხლის შესაბამისად | ვეტერანთა თანამდებობიდან „შრომის" სანიტრად ეკავოს ხელფასი 30.12.08. | ბრძანება №15-97 |
| | | | | საყდები მთავარი | ბერიძე სამსახურის სპეციალისტი ბ. ბერიძე | |

48 4 4 49



ფოტო 5. შრომის წიგნაკის ფოტოასლი



ცნობები მუშაობის შესახებ

| ჩანაწერის № | თარიღი: წელი | თარიღი: რიცხვი | თარიღი: თვე | ცნობები სამუშაოზე მიღების, დათხოვნის შესახებ (მიზეზის აღნიშვნით | სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და და კანონის მუხლის, პუნქტის მითითებით) | რის საფუძველზეა შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | | | 3 | | 4 |
| | | | | ქ. თბილისის მერიის აპარატში | სსიპ – ქ. თბილისის სამსახური | |
| | 2008 | 31 | 12 | დათხოვნილია ქ. თბილისის მერიის აპარატის სამსახურიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე | სსიპ – ქ. თბილისის მერიის აპარატის სამსახური განყოფილების უფროსის თანამდებობიდან | ბრძანება №65 31.12.2008წ. |
| | 2010 | 30 | 11 | ძალაში შევიდა განკარგულება ქ. თბილისის მერიის სსიპ – სამსახურის განყოფილების უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ | ბრძანება №65 ქ. თბილისის მერიის აპარატის სსიპ – სამსახური განყოფილების უფროსის თანამდებობიდან | ბრძანება №5848 30.11.2010 |

50 4 4 51



ფოტო 6. შრომის წიგნაკის ფოტოასლი

## დანართი 2:



დიპლომი
ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘᲗ
НВ № 066225

ДИПЛОМ
С ОТЛИЧИЕМ
НВ № 066225

Настоящий диплом выдан Чачхиани Нине Зурабовне в том, что она в 1985 году поступила в Грузинский политехнический институт и в 19 году окончил полный курс Грузинского технического университета по специальности архитектура

Решением Государственной экзаменационной комиссии от „30" 06 1990 г. Чачхиани Н.З. присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии
Ректор
Секретарь
М. П.
Город Тбилиси „3" IX 1992г.
Регистрационный № 1234

Московская типография Гознака. 1985.

ფოტო 7. დიპლომის ფოტოასლი